

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ლალი ზეინკლიშვილი**

**ბიზნესის სოციალური ორიენტაცია განვითარების**

**თანამედროვე ეტაპზე**

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება - 02 შიფრი

თბილისი

2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი რამაზ ოთინაშვილი

პროფესორი გიორგი მალაშხია

რეცენზენტები: .....

.....

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის „\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_  
საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი 6,  
აუდიტორია \_\_\_\_\_

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/

/

## Abstract

The dissertation work by Lali Zeinklishvili “Social orientation of business at the modern level of development” is about the actual problems of business relations. The work consists of 145 pages and according to organizing instruction it includes: a title page, signatures page, author’s rights page and resume in two languages (Georgian and English), contents list of tables. The main text consists of: preface, literature review, three chapters conclusion and the list of used literature.

The introduction defines how important the subject is, reason of research and tasks. It involves recommendations for solving problems in Georgian business. The scientific novelty and practical importance is discussed.

The economic development in today’s Georgia is going on in difficult situation. There are many positive and negative tendencies. Mankind always tried to overcome difficulties and intensify positive sides, material and spiritual wealth. Because of technological and cultural development there are contradictions among society, humans and nature. These tendencies grow and become complicated. There are ecological risks, political and economical conflicts. The world needs to find ways to come out of the crisis. It is necessary leave it and search for the appropriate ways.

In this direction it’s important socialization of economy, realizing the social responsibility of the business and establishing in life. As far as business is the most important area of human activity, Which is related to kindness and flaws life.

The *first chapter* of the work “The unity of economics and social goals of business” involves paragraphs: 1.1 Business logics – the combination of entrepreneur and society. 1.2 Social orientation as the main aspect of functioning of business. 1.3 The mechanism of social orientation and the role of the institutions of the society.

In this chapter there are description of the business, its importance, as the manufacturer as for customer. Their combined the interests which Adam Smith noted. Business relations between economic subjects contains the controversy, positive and negative sides. The first is it, which serves the welfare of society. The second is for the seeming prosperity and harmful to people. (drug business, cigarette business). The society should do something to reduce negative business and use all the resources to enlarge positive business.

In the theoretical part of dissertation thesis presented business social orientation methodology, its indicators, calculation methods, which allows us to evaluate the different conditions in the country.

The *second chapter* is about the international practice of social orientation of business. It consists of paragraphs: 2.1 At the beginning of social orientation of business. 2.2 Modern tendencies of social orientation of business. 2.3 Social responsibility of the business. Negative business.

Business social orientation, as an important vector of development characterized in the second chapter internationally according to the existing practice. Here is given, its main directions and their specific expressions, which is

characteristic of this process. This is shown the main characteristic of social orientation of business.

The *third chapter* Business social orientation in Georgia include paragraphs. 3.1 Historical aspects of social orientation of business – the charity of Georgian entrepreneurs. 3.2 Current situation of social orientation: forms, scales, results. 3.3 Future prospects of social orientation in Georgia.

Is dedicated business social orientation problems, challenges and perspectives. It is shown, that in this regard we have positive results in Georgia too post transpormation period. Various public institutions will continue to work in this direction. Geat value is given, friendly, neighbourly and secular human relationships between the public. At that in the direction of business social orientation, there is still a lot of challenges. This is related to the low level of economic development itself, poverty in the country, economic gaps, unequal distribution of wealth. Without solving these problems social-economic progress will take place with significant contradictions.

In the conclusion there are some recommendations: to strengthen social institutions, activate, national traditions, cultural development, share economic and political activities, use the world experience etc.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

*თემის აქტუალობა.* კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი რთული პროცესებითა და მოვლენებით ხასიათდება. ეკონომიკური ზრდა არაა საკმარისი ცხოვრების პროგრესისათვის, თუ ქვეყანაში არაა ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ძლიერი ლეგალური ეკონომიკა და დემოკრატიული ინსტიტუტები. ეკონომიკური ზრდის შედეგები სამართლიანად უნდა ნაწილდებოდეს საზოგადოების წევრებს შორის და რაციონალურად მოიხმარებოდეს. ყოველივე ეს ხდის *აქტუალურს* ბიზნესის სოციალიზაციას.

საზოგადოების პროგრესის საფუძველი ბიზნესია, რაც *აქტუალურს* ხდის მის სოციალიზაციას. ამ მხრივ თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეული წინსვლა შეინიშნება. თუმცა მრავალი პრობლემაა დაგროვილი, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესის სოციალურ ორიენტაციას.

საბაზრო ურთიერთობები თავისთავად ვერ უზრუნველყოფს სოციალურად ორიენტირებულ ბიზნესს. ამისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი ინსტიტუტების ამოქმედება. ადამიანის რთულ ბუნებასთან ერთად დომინირებს მატერიალური ინტერესები. ეს თავისთავად უპირისპირებს ერთმანეთს საზოგადოების წევრებს, აუარესებს მათ ურთიერთობებს და მხოლოდ კერძო ინტერესებით საზღვრავენ.

ჰუმანური ცხოვრებისთვის საჭიროა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ბალანსი. აღნიშნული *აქტუალური* პრობლემაა და საჭიროა მისი თანამიმდევრულად, ეტაპობრივად მოგვარება. ამისათვის კი საზოგადოებრივი ინსტიტუტების - განათლების, კულტურის, რელიგიის როლი უნდა გაიზარდოს, რომ ეს პროცესები წარიმართოს დადებითი მიმართულებით. ამით მივიღებთ მეტ კეთილდღეობასა და ბედნიერებას საზოგადოების ყველა წევრისთვის.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ბიზნესი განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური ფუნქციების ფარგლებში, ასევე გასათვალისწინებელია მისი

სოციალური ფუნქციებიც, რის გამოც იგი გვევლინება სოციალური პროგრესის მნიშვნელოვან ფაქტორად.

ბიზნესის სოციალიზაცია გლობალური პრობლემაა. სამწუხაროდ, ეკონომიკის ზრდა და სიმდიდრის დაგროვება არაა სტაბილური, რაც ვერ ქმნის საყოველთაო კეთილდღეობას. ცხადია, საუბარი არ შეიძლება ყველა ადამიანის თანაბარ კეთილდღეობაზე, რადგან ბევრ ქვეყანაში წარმოების დონე მეტისმეტად დაბალია ისტორიული ფაქტორის გათვალისწინებით. გაერო, მსოფლიო ბანკი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი და სხვა ორგანიზაციები ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და მსოფლიოში სიღარიბე, უსამართლობა და გაჭირვება მაინც იზრდება. ცალკეული ქვეყნების განვითარების დაბალი დონე და მეტისმეტი ქონებრივი უთანასწორობა, დოვლათის განაწილების უთანაბრობა და უსამართლობა არის თანამედროვე კაცობრიობისათვის ერთ-ერთი დიდ გამოწვევა. ასეთი უსამართლო მსოფლიო ხომ ცივილიზაციის დაბალ დონეზე მიუთითებს?!

ბიზნესის სოციალურ ორიენტაციას დიდად აფერხებს კრიმინალური ბიზნესი. საქართველოც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მრავალი კრიმინალური ფაქტია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოვლენილი როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის მოქალაქეთა მხრიდან.

რეალობაში გვაქვს რთული სოციალურ-ეკონომიკური სურათი. ბიზნესის სფერო იყოფა ორ ნაწილად: ერთი, რომელიც შეესაბამება მის ნამდვილ არსს, საზოგადოებრივ როლს. იგი ქმნის, ანაწილებს, ცვლის, საზოგადოებას აწვდის სასარგებლო, საჭირო დოვლათს, საქონელსა და მომსახურებას, რაც ჩვენ თავიდან მისი არსის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებებში შევიტანეთ. მეორე ნაწილია როლიდან გადახრა, რომელიც არაფერს აძლევს საზოგადოებას ან, პირიქით, ზიანს აყენებს მას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსისაა და შეადგენს თანამედროვე ბიზნესის არც თუ ისე მცირე ნაწილს. მასში აისახება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ერთი

დიდი სიმახინჯე. პირველს შეიძლება ვუწოდოთ პოზიტიური, ნამდვილი ბიზნესი, მეორეს ნეგატიური, დამახინჯებული.

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს ინსტიტუციურ ფაქტორებს: კანონმდებლობას, განსაკუთრებით შრომით კოდექსს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მთელ სამართლებრივ სისტემას. ეს საკითხი თანამედროვე ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოს შრომის კანონმდებლობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ ჰარმონიზებული ევროპულთან. განსაკუთრებით ეს ეხება სამუშაოდან დათხოვნას, შრომის პირობების დაცვას, ზრუნვას თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო-კულტურულ პირობებზე, დასვენებაზე, ჯანმრთელობაზე, კვალიფიკაციაზე, თანამდებობრივ დაწინაურებაზე. მეორე საკითხია თვით კანონმდებლობის დაცვა, მისი კულტურა. ამ მხრივ მდგომარეობა უფრო მძიმეა.

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან. იგი ბიზნესთან ერთად მრავალ კომპონენტს მოიცავს - ინტელექტუალურ, კულტურულ, ზნეობრივ პროგრესს და სხვ. ბიზნესის სოციალური ორიენტაცია უნდა გავიგოთ, როგორც ცივილიზებული ბიზნესის ბუნების, ხასიათის განმსაზღვრელი თვისება.

თანამედროვე გაგებით, სოციალური ორიენტაცია ბიზნესის ცივილიზებულობის მაჩვენებელია. ის გამოიხატება მეწარმეობის მიერ არა მხოლოდ თავისი სასარგებლო ეკონომიკური შედეგების მიღებაში, არამედ საზოგადოებისათვის სიკეთის შექმნაში. ეს გულისხმობს საკუთარი და საზოგადოების ინტერესების ჰარმონიულ შერწყმას.

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს სოციალურ პასუხისმგებლობას. ის მიგვითითებს ბიზნესის ცივილიზებულობის დონეზე, ბიზნესის სუბიექტების მიერ მიზნის გაცნობიერებაზე. თვლიან, რომ ბიზნესის სოციალურმა ორიენტაციამ წარმოშვა სოციალური პასუხისმგებლობა.

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია რთული ურთიერთობების გამომხატველი მოვლენაა. იგი ქვეყნის ფარგლებში თავს იჩენს განსხვავებული მიმართულებით და ფორმებით.

ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ფორმები შეიძლება დავყოთ შიდა და გარე ფორმებადაც. პირველს მიეკუთვნება: შრომის სტაბილური ანაზღაურება, სამედიცინო დაზღვევა, შრომის უსაფრთხოება, პერსონალის განვითარება სათანადო სასწავლო პროგრამების განხორციელებით, საგანგებო შემთხვევაში მუშაკებისადმი დახმარების გაწევა.

საწარმოს გარე ფორმა შემდეგში შეიძლება გამოიხატოს: სპონსორობა და კორპორაციული ქველმოქმედება, გარემოს დაცვის მხარდაჭერა, ადგილობრივ საზოგადოებასთან და ხელისუფლებასთან თანშრომლობა, კრიზისულ სიტუაციაში მისი დაძლევის ღონისძიებებში მონაწილეობა, მომხმარებელთა წინაშე პასუხისმგებლობა საქონლისა და მომსახურების ხარისხის კუთხით და მიწოდების ღონის მხრივ.

საქართველოში ქველმოქმედების გაფართოება ბიზნესის სოციალური ორიენტაციის განვითარების უმთავრეს პერსპექტივად მიგვაჩნია. იგი ემყარება ადამიანთა კეთილშობილებასა და კეთილ ნებას საზოგადოებაში. ამისი საჭიროება მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში კიდევ დიდხანს იქნება, მაგრამ იგი ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილს შველის. საჭიროა მისი წახალისება, განსაკუთრებით ბიზნესის მხრივ. სახელმწიფომ უნდა დააწესოს შეღავათები და საზოგადოებამ - მორალური სტიმული ქველმოქმედებისათვის.

ბიზნესის სოციალური ორიენტაციის უმნიშვნელოვანესი და უფაქიზესი საკითხია ადამიანთა ბუნებასთან დამოკიდებულება, არანაკლები, ვიდრე თვით ადამიანებს შორის ურთიერთობა. იგი ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლები სიმწვავეით ეხება. საქართველოში ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების შემაზრზენი მონაცემები არსებობს. ეს ცალკე მსჯელობის საკითხია. ჩვენ მას აქ ვსვამთ ბიზნესის სოციალური ორიენტაციის კუთხით. სამწუხაროა, რომ ბიზნესის ინტერესები პირდაპირ



მოდის წინააღმდეგობაში ბუნების გაჯანსაღებასთან. ამ მხრივ თვით ბიზნესის წარმომადგენელთა დამოკიდებულება საკითხისადმი სრულიად არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მდგომარეობას, რადგან შექმნილი დოვლათი უსამართლოდ ნაწილდება. ამ მხრივ საქართველო, სადაც საბაზრო ეკონომიკა ახლო წარსულში დამკვიდრდა, აღმოჩნდა ისეთ ქვეყანათა შორის, სადაც შემოსავლების უთანაბრობა მოსახლეობაში მეტად მაღალია და ბევრად სჭარბობს კლასიკურ კაპიტალისტურ ქვეყნებისას.

აღსანიშნავია პროფესორ გიორგი მაღაშბიას აზრი, რომ პრობლემა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ არ ამოიწურება იმით, რასაც გულისხმობს „ადამიანურ ურთიერთობათა“ თეორია. ის მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესებაში, მაგრამ არასაკმარისი. უნდა განხორცილდეს გადასვლა *ქეშმარიტ ჰუმანურ ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარებულია მაღალი ზნეობის, სამართლიანობის, ადამიანთა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისკენ ორიენტაციაზე, რაც იქნება ცხოვრების ჰუმანიზაციის ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში.*

ბიზნესის კულტურა ჩვენს სინამდვილეში თანდათან მაღლდება, თუმცა მწვავე სოციალური პრობლემები გადაუწყვეტელია და ბიზნესის ხარვეზები, კერძოდ შემოსავლების უთანასწორობა, კრიმინალური ბიზნესის არსებობა, საფუძველს არ იძლევა ვთქვათ, რომ ბიზნესის მართვის კულტურა დღეისთვის მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაღალ დონეზეა. მისი ამადლების ამოცანები საერთოდ საზოგადოებრივ პროგრესს უკავშირდება. უმთავრეს საკითხად დგას ბიზნესის სოციალიზაციის, საყოველთაო კეთილდღეობის იარაღად გადაქცევის ამოცანა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ბიზნესის სოციალური ორიენტაციის სისტემური მიდგომის გამოყენების დანერგვა. საქართველოში ბიზნესის განვითარებისა და სრულყოფისათვის

საჭიროა საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე პროცესების ანალიზი, დადებითი ტენდენციების გამოკვეთა და შესაბამისი შეფასებების გაკეთება.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს **კვლევის ძირითადი ამოცანები**:

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის კატეგორიის არსისა და შინაარსის განსაზღვრის ავტორისეული ვარიანტების შემუშავება და შემოთავაზება;

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის სათავეების გამოკვლევა და მისი ობიექტური საფუძვლების დადგენა;

- თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ძირითადი ტენდენციების ანალიზი და მისი შედეგების შეფასება;

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ეკონომიკურ და სოციალურ შემადგენელთა ურთიერთკავშირის განხილვა და სათანადო თეორიული დასკვნების გამოტანა;

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ტენდენციების და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება თეორიისა და პრაქტიკისთვის თანამედროვე ეტაპზე;

- ბიზნესის სოციალური ხარვეზებისა და გამოწვევათა გამოკვლევა და თეორიულ-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს რეალობის გათვალისწინებით;

ნაშრომის **კვლევის საგანია** საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში ბიზნეს-ურთიერთობების ცივილიზებულიობის დონის ამაღლება სოციალური ორიენტაციის კონტექსტში.

**კვლევის ობიექტია** ბიზნესის სოციალური ორიენტაციის მდგომარეობა საერთაშორისო პრაქტიკაში და განსაკუთრებით საქართველოს სინამდვილეში. ზემოთ აღნიშნული პრობლემა მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მას ქართულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში გარკვეული ყურადღება ექცევა. ამ მხრივ

შეიძლება დავასახელოთ: ნ. ჭითანავას, გ. მაღაშხიას, ა. აბრალავას, ე. ბარათაშვილის, რ. ოთინაშვილის, ლ. თაკალანძის, გ. ბერულავას, ვ. დათაშვილის, დ. სეხნიაშვილის, რ. შენგელიას, თ. შენგელიას, გ. ჯოლიას და სხვათა შრომები. ამ თემას ეხება უცხოელ ავტორთა მრავალი ნაშრომი: ჯ. გელბერტი, ე. ფრომი, ჯ. მარკუზე, ჯ. ნორტი, ჯ. ბეკერი, ჯ. ჯატი, ე. გორი, კ. პოლანი, კ. ჰიუნგი და მრავალი სხვა.

აღნიშნული პრობლემის შესწავლა მეცნიერების მიერ არა თუ ამოწურული, არამედ არასაკმარისია. მას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე საჭიროა, რადგან მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ბუნება მასზე ბევრადაა დამოკიდებული. ამ გარემოებით აიხსნება ჩვენ მიერ სადისერტაციო ნაშრომის თემის შერჩევა, მით უფრო, რომ ეს პრობლემა ჩვენს პირობებში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე რიგ ქვეყნებში.

კვლევის *მეთოდოლოგიური საფუძველი მოიცავს*: ტრადიციულ და უნივერსალურ მეთოდებს, მათ შორის ფილოსოფიურ მიდგომებს; ინდუქციას, დედუქციას, ანალიზსა და სინთეზს. სისტემურ ანალიზს, ასევე სტატისტიკურ ხერხებს, ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებას, სოციოლოგიური კვლევის ცალკეულ მიდგომებს. ამასთან გვინდა, რომ ხაზი გავუსვათ პროფესორ გიორგი მაღაშხიას მიერ შემოთავაზებული მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებას, როგორც: ანთროპოცენტრული მიდგომა, აქსიომეტირული და ევდემონისტური ხედვა, გენეტიკური გააზრება და ა.შ..

*კვლევის მეცნიერული სიახლეები*. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ მეცნიერულ სიახლეებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის, როგორც მისი განვითარება-სრულყოფის და ცივილიზირებულ ეტაპზე გადასვლის პერსპექტიული მიმართულების არგუმენტაცია ზოგადად და საქართველოს კონტექსტში;

- ადამიანურ ურთიერთობებში ჰუმანიზმისა და ტრადიციების მნიშვნელობის წარმოჩენა. ბიზნესის კონტრსოციალური (საპირისპირო) ორიენტაციის სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების შეფასება;

- ბიზნესის სოციალური ორიენტაციის, როგორც ბიზნესისა და ცხოვრების ჰუმანიზაციის ფაქტორის გამოკვეთა, მისი მნიშვნელობის განსაზღვრა საზოგადოებრივი პროგრესისა და კეთილდღეობისათვის.

**სიახლეების პრაქტიკული მნიშვნელობა.** საზოგადოება ვითარდება. ეკონომიკური ადამიანიდან გადავდივართ ადამიანურ ადამიანზე, რითაც საფუძველი ეყრება ბიზნესის სოციალურ ორიენტაციასა და პასუხისმგებლობას, ეკონომიკის გარკვეულ ჰუმანიზაციას - ადამიანურ ფასეულობათა დამკვიდრებასა და პატივისცემას ბიზნესის სფეროში და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს შეიძლება მივიჩნიოთ კაპიტალიზმის განვითარების ახალ ეტაპად.

კაცობრიობამ თანდათან შეიმუშავა წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ზნეობა, სამართლიანობა, ცნობიერება, ურთიერთობები, რომლებიც არეგულირებს მათ ქცევას, რაც ბიზნესის სოციალიზაციის განვითარების გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს.

ბიზნესის სოციალური ორიენტაციის საბოლოო შედეგის სახით უნდა განვიხილოთ მისი ჰუმანიზაცია. ეს ნიშნავს ბიზნესის შესატყვისობას საზოგადოების ყველა წევრის და არა გამორჩევით ცალკეულთა ინტერესებთან, კრიტერიუმებთან და ფასულობებთან, რაც არის ადამიანურ, ჰუმანურ ურთიერთობათა გარანტია.

ქვეყანაში ბიზნესის სოციალური ორიენტაციის დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება ჩრდილოვანი (ფარული), კრიმინალური ეკონომიკა, კორუფცია და სხვა მახინჯი მოვლენები, რომლებიც ხელს უშლის ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს შექმნას. ამ საკითხზე პროფესორ რამაზ ოთინაშვილს ჩატარებული აქვს მრავალი კვლევა, სადაც ნათლად ჩანს ქვეყანაში ლეგალური ბიზნესის წარმართვის დაბალი კულტურა, კანონმდებლობის სისუსტე, ადმინისტრაციულ ღონისძიებათა ნაკლოვანებები, საგადასახადო ადმინისტრირებისა და აღრიცხვის ხარვეზები. მაშინ, როცა ჩვეულებრივ განვითარებულ ქვეყნებში ფარული

ეკონომიკა 6-8 %-ს აღწევს, ჩვენთან თითქმის ერთი მესამედია. აღნიშნულ პრობლემას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

მაშასადამე, თუ შევაფასებთ ბიზნესის კონტროლიზაციის გავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ესაა რეალური კეთილდღეობის პირდაპირი დანაკარგები. საზოგადოებას არამარლთზომიერი ბიზნესის შედეგად აკლდება კეთილდღეობის დიდი ნაწილი - ადამიანთა მატერიალური ცხოვრებით დაკმაყოფილება. ბედნიერება იქნებოდა 25-30%-ით უფრო მაღალი. აქედან ნათელია, თუ რა დიდი რეზერვი დევს სრულიად უდანახარჯო, ზნეობრივ და სამართლებრივ, კულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებში ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ბიზნესის სოციალური ორიენტაციის სრულყოფისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. მოსახლეობის დიდი ნაწილი როდია სწორად ორიენტირებული ადამიანურ ფასეულობებზე. აუცილებელია ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლება ადამიანთა ცხოვრების არსისა და წესის შესახებ. სხვანაირად ბედნიერება ამ ქვეყანად ვერ დამკვიდრდება. ამას ადამიანის სულიერი სრულყოფა, მანკიერებათაგან გაწმენდა სჭირდება. სრულყოფილებისა და ბედნიერების გზა მხოლოდ ჭეშმარიტებაშია, რასაც ცხოვრება ადასტურებს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ბიზნესის სოციალური ორიენტაცია ცხოვრების პროგრესის, საზოგადოების კეთილდღეობის გარანტიაა და მას ალტერნატივა არ გააჩნია.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** დისერტაციის ძირითადი დებულებები და წინადადებები შეიძლება გამოვიყენოთ სამთავრობო ორგანოების და ბიზნეს-კომპანიების პრაქტიკულ საქმიანობაში. მეცნიერულ კვლევებსა და უმაღლეს სასწავლებლებს სასწავლო პროცესში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერზე ნაბეჭდ, A4 ტიპის ფურცელზე. შედგება

შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან. ტექსტში ჩართულია 5 ცხრილი.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი „*ბიზნესის სოციალური ორიენტაცია განვითარების თანამედროვე ეტაპზე*“ ეხება ბიზნეს-ურთიერთობების აქტუალურ პრობლემას. ნაშრომი შედგება: 145 გვერდისგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს, ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური), შინაარსს (სარჩევს), ცხრილების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება: შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. **შესავალში** განსაზღვრულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები. მოცემულია რეკომენდაციები ქართული ბიზნესის კერძო და სახელმწიფო სექტორებში არსებულ პრობლემებზე. განხილულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ეკონომიკის განვითარება, თანამედროვე ეტაპზე, რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში მიმდინარეობს. მას ახლავს პოზიტიური - საზოგადოებისათვის სასარგებლო, მათი კეთილდღეობის ზრდის ტენდენციები. ამავე დროს ნეგატიური - საზოგადოებისთვის საზიანო მოვლენები. აღნიშნული ისტორიის თანმდევი პროცესია.

კაცობრიობა ყოველთვის ცდილობდა დაეძლია უარყოფითი მოვლენები და გაეძლიერებინა დადებითი. კერძოდ ტექნოლოგიურ-კულტურული პროგრესის კვალობაზე გაიზარდა მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რასაც თან ახლავს წინააღმდეგობები საზოგადოებასა და ბუნებას შორის. აღნიშნული ტენდენცია მატულობს ცხოვრების

მოვლენათა გართულების და მათი გაფართოების კვალობაზე. წარმოიშვება და მწვავედება ეკოლოგიური საფრთხეები, სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური კონფლიქტები. შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა გლობალურ ყოვლისმომცველ კრიზისში იმყოფება. აუცილებელი ხდება მისგან გამოსვლა და საამისოდ შესაბამისი გზების ძიება.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის სოციალიზაცია, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სისტემურად გაცნობიერება და ცხოვრებაში დამკვიდრება. რამდენადაც ბიზნესი ადამიანთა საქმიანობის უმთავრესი სფეროა, რომელთანაც დაკავშირებულია როგორც ცხოვრების სიკეთენი ისე ხარვეზები.

ნაშრომის *პირველი თავი* „ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური მიზნების ერთიანობა“ მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1.1. ბიზნესის ლოგიკა - მეწარმის და საზოგადოების ინტერესების შეხამება; 1.2. სოციალური ორიენტაცია, როგორც ბიზნესის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ასპექტი; 1.3. ბიზნესის სოციალური ორიენტაციის მექანიზმი და საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი.

მასში მოცემულია ბიზნესის დახასიათება, მისი მნიშვნელობა, როგორც მწარმოებელთა ისე მომხმარებელთათვის. მათი ინტერესების შეხამება, რაც ჯერ კიდევ *აღაძ სმიტიდან* მომდინარეობს. ბიზნეს-ურთიერთობები ეკონომიკურ სუბიექტთა შორის დაპირისპირებას, წინააღმდეგობებს მოიცავს. ამასთან, არსებობს პოზიტიური და ნეგატიური ბიზნესი. პირველი არის ის, რაც საზოგადოების რეალურ კეთილდღეობას ემსახურება; მეორე - რაც მოჩვენებითი კეთილდღეობისთვისაა და საზიანოა ადამიანებისთვის. მათ რიცხვს განეკუთვნება: ნარკობიზნესი, სიგარეტის ბიზნესი, პორნობიზნესი, იარაღით და მომწამვლელი ნივთიერებებით ვაჭრობა და ა.შ. საზოგადოება, თავის მხრივ, უნდა იდგეს დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე - შეამციროს ნეგატიური ბიზნესი და გაზარდოს რესურსების გამოყენება პოზიტიური ბიზნესისთვის. ამისათვის

უნდა განახორციელდეს სათანადო ღონისძიებები, შემუშავდეს და პრაქტიკაში დანერგოს ისინი.

დისერტაციის *მეორე თავი „ბიზნესის სოციალური ორიენტაციის საერთაშორისო პრაქტიკა“* შედგება შემდეგი პარაგრაფებისგან: 2.1 ბიზნესის სოციალური ორიენტაციის სათავეებთან; 2.2 ბიზნესის სოციალური ორიენტაციის თანამედროვე ტენდენციები; 2.3 ბიზნესის სოციალური უპასუხისმგებლობა. ნეგატიური ბიზნესი.

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი ვექტორი, დახასიათებულია მეორე თავში საერთაშორისო მასშტაბით არსებული პრაქტიკის მიხედვით. აქ მოცემულია მისი ძირითადი მიმართულებები და მათი კონკრეტული გამოხატულებანი, რაც ამ პროცესს ახასიათებს. ამით ნაჩვენებია ბიზნესის სოციალური ორიენტაციის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები. ის უარყოფითი მოვლენები, კერძოდ კი კონტრსოციალიზაციის, რაც გვხვდება ცხოვრებაში და დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

*მესამე თავი „ბიზნესის სოციალური ორიენტაცია საქართველოში“* მოიცავს პარაგრაფებს: 3.1 ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ისტორიული ასპექტები - ქართველ მეწარმეთა ქველმოქმედება; 3.2 სოციალური ორიენტაციის თანამედროვე მდგომარეობა: ფორმები, მასშტაბები, შედეგები; 3.3 ბიზნესის სოციალური ორიენტაციის პერსპექტივები საქართველოში.

ედღენება ბიზნესის სოციალური ორიენტაციის პრობლემებს, გამოწვევებსა და პერსპექტივებს. ნაჩვენებია, რომ ამ მხრივ საქართველოშიც გვაქვს დადებითი შედეგები პოსტრანსფორმაციულ პერიოდში. სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები წარმართავენ მუშაობას ამ მიმართულებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების წევრებს შორის მეგობრულ, მეზობლურ და საერო ადამიანურ ურთიერთობებს. ამასთან ბიზნესის სოციალური ორიენტაციის მიმართულებით მდგომარეობა ჯერ კიდევ ბევრ გამოწვევას მოიცავს. აღნიშნული უკავშირდება თვით ეკონომიკის განვითარების დაბალ დონეს, სიღარიბეს



ქვეყანაში, ეკონომიკურ ურთიერთობათა ხარვეზებს, დოვლათის მეტისმეტად უთანაბრო განაწილებას. ამ მხრივ საქართველო თვით კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებზე უარესი მაჩვენებლებით ხასიათდება. ამ პრობლემათა გადაჭრის გარეშე, რაშიც საზოგადოების მოწინავე ფენები უნდა ჩაებას, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებით მიმდინარეობს.

## ზოგადი დასკვნები

ეკონომიკური ადამიანიდან ისტორიული ტენდენციით გადავდივართ ჰუმანურ ადამიანზე, როდესაც პირად ინტერესზე მაღლა დგება საზოგადოებრივი ინტერესი. იგი განსაზღვრავს საერთო კეთილდღეობას, მაგრამ არა ინდივიდის ინტერესის უგულვებელყოფით, არამედ მათი სრულიად გათვალისწინებით, რომელიც ამ წესით რეალიზდება, როგორც უზენაესი მიზანი;

საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია, რისი შედეგიცაა ეკონომიკური დოვლათის დიდი დანაკარგები. ადგილი აქვს საზოგადოებრივი სიკეთის უსამართლო გადანაწილებას - ადამიანთა ერთი ნაწილის ხელში სიმდიდრის ზედმეტად თავმოყრას და მეორე ნაწილის კი განწირვას სიღარიბისა და სიღატაკისთვის;

აქტუალური პრობლემაა დოვლათის უყაირათოდ გამოყენება. მისი ფლანგვა, გაფუჭება, რასაც საბჭოთა მემკვიდრეობა და მოსახლეობის საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების დონე განაპირობებს;

საქართველოს ისტორია, წარსულის შემეცნება გვასწავლის, რომ ცხოვრება ერთგვაროვანი არ ყოფილა და დღესაც არ არის. მას ახასიათებს პოზიტიური და ნეგატიური პროცესები, ჰუმანიზაციისა და დეჰუმანიზაციის ტენდენციები;

თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ადასტურებს ცხოვრების, როგორც პოზიტიურ, ღირსეულ და მიმზიდველ მხარეს. ისე უარყოფითს -

სიმახინჯის, შურის, გაუტანლობის და ბოროტების გამოვლინებებს საზოგადოების წევრებს შორის და მათ ცხოვრებაში;

ბიზნესის სოციალიზაცია არის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომლის შედეგები ცხოვრების პროგრესის და საბოლოოდ ადამიანთა ბედნიერების გარანტიებს ქმნის. მაგრამ ამ გზაზე დიდი წინააღმდეგობებია. პირველ რიგში, ადამიანის რთული ბუნება, მისი ეგოისტური მიდრეკილებები. თუმცა არსებული ცოდნა და კეთილშობილების საწყისები საზოგადოებას მაინც ეხმარება, ცხოვრება მთლიანობაში იყოს საინტერესო და მიმზიდველი; ბიზნესის ლოგიკით, ვიწრო, საკუთარი ინტერესით მოქმედება და სხვისი, საზოგადოების ინტერესების უგულვებლყოფა, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იყოს წარმატების წყარო. გრძელვადიანი პერიოდისთვის მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული ბიზნესი არის წარმატებული;

აღსანიშნავია პროფესორ გიორგი მაღაშხიას აზრი, რომ პრობლემა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ არ ამოიწურება იმით, რასაც გულისხმობს „ადამიანურ ურთიერთობათა“ თეორია. ის მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესებაში, მაგრამ არასაკმარისი. უნდა განხორცილდეს გადასვლა ქვეშარტ ჰუმანურ ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარებულია მაღალი ზნეობის, სამართლიანობის, ადამიანთა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისკენ ორიენტაციაზე, რაც იქნება ცხოვრების ჰუმანიზაციის ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში;

კაპიტალიზმის განვითარების ახალ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანურ ფასეულობათა დამკვიდრება და პატივისცემა, როგორც ბიზნესის სფეროში, ისე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

საქართველოში ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის სფეროში ბევრი პრობლემა არსებობს ბიზნესის სოციალურ სიკეთედ გარდაქმნის კუთხით. მახინჯი მოვლენები, რომლებიც თან სდევს ცხოვრებას, წინ ეღობება ადამიანური ეკონომიკის ანუ საზოგადოების ყოველი წევრის

კეთილდღეობის ზრდას. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ბიზნესი და მისი შესაბამისი სამოქალაქო ინსტიტუტების ძალისხმევა;

ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბება არაა მარტივი ამოცანა. იგი დამოკიდებულია სამოქალაქო ცნობიერების მთელ კომპლექსზე: განათლების სისტემის განვითარების დონეზე, სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე, შესაბამის პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ბუნებაზე და ა.შ.;

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ხარვეზებია. ხშირად ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც არ შეესატყვისება მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას. ამის მიზეზებია არასაკმარისი გამოცდილება, ცოდნა და პირადი, ეგოისტური ინტერესების დომინირება. პოლიტიკაში ყველა როდი მოდის ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებისთვის. ბევრს ამოდრავებს საკუთარი, არცთუ იშვიათად, ანგარებითი მიზნები;

საქართველოში ბიზნესის სოციალიზაციის თვალსაზრისით სპეციფიკური პრობლემები არსებობს. ესაა გარდამავალი პერიოდის ე.წ. სოციალიზმიდან, საერთო-სახალხო საკუთრებიდან საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის სირთულეები. ამ დროს საკუთარი სიტყვა უნდა თქვან მოწინავე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა - მეცნიერებმა, ხელოვანებმა და ა.შ. მათ კარგად უნდა წარმოაჩინონ ამ კუთხით ჩვენს მოსახლეობაში არსებული ტრადიციები, ადათ-წესები, მეზობლური, მეგობრული და ნათესაური ურთიერთობის დადებითი მომენტები;

მიუხედავად პრობლემებისა თანდათან იზრდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დონე და მასშტაბები, რაც თვით ცხოვრებისეულ ლოგიკას მოსდევს. ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მრავალი ღონისძიება ტარდება ამ მიმართულებით;

ბიზნესის სოციალურ ორიენტაციაში დიდი როლი სახელმწიფო ინსტიტუტებს ეკუთვნით. მათ უნდა აღკვეთონ ბიზნესის თანმხლები სიმახინჯეები - კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, კრიმინალური საქმიანობა და სხვა უსამართლობანი;

ბიზნესის სოციალიზაციის მექანიზმის დიდ ნაწილს ქმნის სახელმწიფო. მასში ჩართულია ხელისუფლების ყველა შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო- ადმინისტრაციული განშტოებები. სახელმწიფოს ფუნქციები ბიზნესის სოციალური ორიენტაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების შექმნა და გამოყენებაა, რის საფუძველზეც ხორციელდება ბიზნესმენტა საქმიანობის წარმართვა.

ბიზნესის სოციალიზაცია წარმოადგენს დროის მოთხოვნას, საზოგადოების არსებობის, ცხოვრების წესის გამოწვევას, სოციალურ დაკვეთას.

როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, ბიზნესის სოციალიზაციისათვის საკმარისი არაა არაფორმალური ინსტიტუტების მოქმედება, ადამიანთა შინაგანი რწმენის და შეგნებული ქცევის ფაქტორი. ჯერ ერთი, ყველას არც აქვს ზნეობრივი ქცევის უნარი და ამისათვის აუცილებელი ცოდნა; მეორე, ბიზნესის სოციალური ორიენტაცია არაა მხოლოდ მიკრო ეკონომიკური მოვლენა, ის მოითხოვს საერთო-სახელმწიფოებრივ ინსტრუმენტებს. ასეთია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კანონმდებლობა, სუბიექტთა ქცევის წესები და ნორმები, აკრძალვები იმისა, თუ რა არ შეიძლება გააკეთოს სუბიექტმა, ამ შემთხვევაში, ბიზნესის წარმომადგენელმა. სახელმწიფო იყენებს ზომებს, რომელიც ვალდებულებების, პასუხისმგებლობის დაწესების, აკრძალვის, ქცევის ნორმების, ნორმატივების მეშვეობით განამტკიცებს ბიზნესის სოციალურ ორიენტაციას. სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში ამ მიმართულებით გამოდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებითაც, როგორცაა სამოქალაქო და თვით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამასთან, სახელმწიფო იყენებს წამახალისებელ ზომებსაც, როგორცაა: მორალური სტიმულირება, განსაკუთრებით სოციალური დანიშნულების ბიზნესისგანვითარების მხარდაჭერა, შეღავათების სისტემა სოციალური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობისთვის და ა.შ.;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის სოციალური ორიენტაციის თვალსაზრისით, სახელმწიფოს საგადასახადო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და სოციალური პოლიტიკა.

გადასახადები უმთავრესი ეკონომიკური შინაარსის ინსტიტუციური ინსტრუმენტია, რომლითაც რეგულირდება ბიზნესის მონაწილეობა სახელმწიფო ფინანსების ფორმირებაში, რაც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უმთავრესი რესურსია;

საჭიროა სათანადოდ შეფასდეს დემოკრატიული პოლიტიკური მმართველობის მნიშვნელობა. იგი ეკონომიკურ ზრდას არ უნდა ჩამორჩეს. სამართლიანობის დაცვა ზნეობრივადაც გამართლებულია და მას პრიორიტეტული ადგილი უნდა მიეკუთვნოს;

ბიზნესის სოციალური ორიენტაცია ეხება როგორც სოციალურ მხარეს, ასევე ეკონომიკურს, ზნეობრივსა და სამართლებრივს, რაც გულისხმობს ამ ურთიერთობათა ჰუმანიზაციას, ძალადობრივი ელემენტების, უსამართლობის, ეთიკური ნორმების დარღვევის გამორიცხვას; ბიზნესის სოციალური ორიენტაციის კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ინკლუზიური ბიზნესის ცნება და მოვლენა. მთავარია, ბიზნესი ხელსაყრელი იყოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა, მთელი საზოგადოების ყველა წევრისათვის. ცხადია, ეს ასე არ უნდა გავიგოთ, რომ იგი თანაბრად იქნება სასარგებლო ყველასთვის. ბიზნესის ინკლუზიური ხასიათი ფაქტობრივად გვერდზე ტოვებს ადამიანთა არც თუ ისე მცირე ნაწილის ინტერესებს, სრულიად უთანაბროდ და უსამართლოდ ანაწილებს შემოსავლებსა და საზოგადოების სიმდიდრეს. საზოგადოებაში სამართლიანობისა და საერთო კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუ არ იქნება ზრუნვა საერთო

ინტერესებისათვის, ყველა ადამიანის უზრუნველყოფისთვის სამუშაოთი და შემოსავლებით. ამგვარი ბიზნესის არსებობის შესახებ იდეა უთუოდ პროგრესულია და ბიზნესის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

გასაგებია, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სამართლიანი და საყოველთაო კეთილდღეობისაკენ მიმართული ბიზნესის არსებობა შეუძლებელია. ამასთან პროგრესულმა საზოგადოებრივმა და მეცნიერულმა აზრმა გააცნობიერა, რომ აუცილებელია ბიზნესზე ზეგავლენა, ისეთი მექანიზმების ჩართვა მის რეგულირებაში, რომ მან ანგარიში გაუწიოს საზოგადოების ინტერესებს, შეზღუდოს შემოსავლების უსამართლო განაწილება, ყოველგვარ ზღვარს გადასული უთანასწორობა. დღეისთვის სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები ხალხს თავს აწონებენ იმით, რომ მათი მიზანია ბიზნესს მისცენ ექსკლუზიური ხასიათი, გახადონ იგი ყველას ინტერესების, კეთილდღეობის წყარო. ეს მიზანი სრულიად შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკამ შეასრულოს ლოგიკით, მაგრამ სხვადასხვა დონეზე და ზომით მაინც ხორციელდება;

ბიზნესის სოციალურ ორიენტაციაში ქველმოქმედებას თავისი ადგილი უკავია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავრცელდეს ჩვენს პრაქტიკაში ამერიკაში დანერგილი ე.წ. „ვოლონტიორობის“ მსგავსი ქველმოქმედება, რომელშიც ას მილიონზე მეტი ადამიანია ჩართული. იგი მოიცავს დახმარებას უმწეო ადამიანებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ სხვადასხვა მომსახურება. მაგალითად, რაიმეს შესაძენად ბაზარზე გაგზავნა, სახლის დალაგება, ავადმყოფების მოვლა და ა.შ.

ვოლონტიორობა საქართველოსთვის არაა უცხო, თუმცა მასიურ ხასიათს არ ატარებს, ძირითადად მხოლოდ ნათესავებსა და ახლობლებშია გამოყენებული. სასურველია, უფრო გავრცელდეს და გაფართოვდეს მისი მასშტაბები, ჩავაბათ მეტი ადამიანი და გავზარდოთ რესურსები;

ბიზნესის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. მოსახლეობის დიდი ნაწილი როდია სწორად ორიენტირებული ადამიანურ ფასეულობებზე. აუცილებელია ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლება ადამიანთა ცხოვრების არსის და წესის შესახებ და მის შესაბამისად მოქმედება. სხვანაირად ბედნიერება ამ ქვეყნად ვერ დამკვიდრდება. ამას ადამიანის სულიერი სრულყოფა, მანკიერებათაგან განწმენდა ესაჭიროება. სრულყოფილების და ბედნიერების გზა მხოლოდ ჭეშმარიტებაშია, რასაც მეცნიერული გამოკვლევები და პრაქტიკა ადასტურებს.

მაშასადამე ეკონომიკის და ბიზნესის სოციალური ორიენტაცია საზოგადოების პროგრესული განვითარების წამყვან ტენდენციად უნდა იქცეს, რომელსაც ალტერნატივა არ ექნება უკეთესი მომავლის თვალსაზრისით.

## **სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შემდეგ შრომებში:**

სტატია

1. რამაზ ოთინაშვილი, ლალი ზეინკლიშვილი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები, ჟ. სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, 2013, N 3, გვ. 111-115.

2. ლალი ზეინკლიშვილი, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა, ჟ. სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური საკითხები 2013, N 6, გვ. 41-44;

3. ლალი ზეინკლიშვილი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, სამეცნიერო ძიებანი, თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2012, N 13/1, გვ. 121-123;

4. ლალი ზეინკლიშვილი, მეწარმის მოტივაცია და მისი კავშირი სოციალურ პასუხისმგებლობასთან, გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი, ჟ., ბიზნეს-ინჟინერინგი, N 1, 2014, გვ. 60-63.

#### კონფერენცია

1. ლალი ზეინკლიშვილი, რამაზ ოთინაშვილი, სახელმწიფოს როლი ბიზნესის სოციალური ორიენტაციის პოლიტიკის სრულყოფაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ხელისუფლება და საზოგადოება - 2012“, გვ. 31.

2. ლალი ზეინკლიშვილი, ნინო მიროტაძე, ბიზნესის სოციალური ორიენტაცია, სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, 2013 წლის 29-30 ნოემბერი, გვ. 6.

3. ლალი ზეინკლიშვილი, შოთა ვეშაპიძე, ბიზნესი და ქველმოქმედება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუდენტთა მე-80 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2012, გვ. 148.

4. რამაზ ოთინაშვილი, ლალი ზეინკლიშვილი, ბიზნესის სოციალური ორიენტაცია და ჰუმანიზაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2018, 25-26 მაისი, გვ. 11.

### ნაშრომის ძირითადი დებულებები იყო გამოყენებული სამ თემატურ კოლოქვიუმსა და ორ სემინარზე

#### კოლოქვიუმი

1. ბიზნესის სოციალური ორიენტაცია - 03.2013
2. სოციალური ორიენტაცია საერთაშორისო ბიზნესში - 06.2013
3. ბიზნესის სოციალური ორიენტაციისა და პასუხისმგებლობის მოტივაციის საფუძვლები - 02.2014



## სემინარი

1. ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც მეცნიერება და პრაქტიკული საქმიანობა, მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში - 03.2013
2. საფინანსო რისკების დაზღვევა- 06.2013